41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო საგარეჯოელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი საგარეჯოს მერობის კანდიდატისა და საგარეჯოს საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს საგარეჯოს განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს საგარეჯო და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

*„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს საგარეჯოს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6,3 მლნ ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი – 11,9 მლნ ლარია. იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლები – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 6,5 მლნ ლარს შეადგენდა, 2021 წელს 19,3 მლნ ლარამდე გაიზარდა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს საგარეჯოს ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 1,8 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის პროგნოზით – 15,1 მლნ ლარი შეადგინა.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა 3 პროექტი (ჯამურად 195 152 ლარი, თანამონაწილეობა 1 531 579 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე",** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 8 პროექტი (ჯამურად 873 159 ლარი, თანამონაწილეობა 346 464 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი",** 2015-2021 წლებში, 1 337 ჰექტარზე განხორციელდა 132 პროექტი (ჯამურად 11 954 694 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 2 791 ჰექტარი, რითაც 1 183-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 434 889 ლარით აუნაზღაურდათ. **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 3 706-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა (ჯამურად 271 732 963 ლარი, თანამონაწილეობა 35 678 960 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 11 პროექტი (ჯამურად 522 400 ლარი, თანადაფინანსება 208 960 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** და შესყიდულია 660 811 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 323 806 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (9 პროექტი, ჯამურად 2 045 440 ლარი, თანადაფინანსება 1 547 779 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (22 პროექტი, ჯამურად 2 173 988 ლარი, თანადაფინანსება 649 097 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 18 320 733 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 2 200-დან (2013 წელს) 3 971 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – საგარეჯოში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 137,15 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 151,12 მლნ ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, 2030 წლისთვის წყლით უზრუნველყოფილი ფართობი 227 ათას ჰექტარს გაუთანაბრდება.**
- **2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 10 706 ჰექტრამდე ზრდა.**




შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის საავტომობილო გზა

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს და სამომავლოდაც გაგრძელდება რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში",** საგარეჯოში დაფინანსდა 4 საწარმო (ინვესტიცია ჯამურად 6 147 377 ლარი, დასაქმებულია 31 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში,** ხელი შეეწყო 2 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 2 550 000 ლარი, დასაქმდა 50 ადამიანი, მუნიციპალიტეტს 21 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით, 364 937 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 503 197 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 41 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 20, ახალი „სტარტაპის" მხარდასაჭერად – 21 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების" გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.**

**2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური** – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია – 39 მლნ აშშ დოლარი.

**კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**:

- **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ;
- **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ;
- **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ;
- **ხადორიჰესი-3** -6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ;
- **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ;
- **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ;
- **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ;
- **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ;
- **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ;
- **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ;
- **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ;
- **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ.

**ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

2013-2017 წლებში, საგარეჯოში, 3 533 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია,** ჯამურად 10 229 აბონენტი. **ხელისუფლების გეგმით,** 2022-2023 წლებში, მუნიციპალიტეტის 5 სოფელში (გორანა, იკვლივგორანა, კოჭბაანი, ბოტკო და რუსიანი) იგეგმება გაზიფიცირების სამუშაოები (265 აბონენტი).

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების" გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს საგარეჯოში ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015-2021 წლებში გაიმართა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის.

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით,** პროექტით „ღვინის გზა" განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

**ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით,** მუნიციპალიტეტში განთავსდა საინფორმაციო ბანერები კულტურული და ტურისტული ობიექტების შესახებ;

- **მომავალში „ქართული ოცნების" გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 84 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 1584,9 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 2 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, საგარეჯოში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 16 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს.

ამავე პერიოდში, **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ 660 ათასი ლარის კომპენსაცია გამოყო; 2021 წელს 30 აპრილის სტიქიისა და 6-7 ივლისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის კი ჯამურად გამოყოფილია 800 000 ლარი.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, საგარეჯოს 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 693 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, საგარეჯოს **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 16 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 61 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **საგარეჯოში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:**

- ქ. საგარეჯოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის II ეტაპი – 2 412 080 ლ;
- სოფ. ყანდაურასა და ბადიაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 11 779 999 ლ;
- სოფ. მანავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 8 422 875.00 ლ;
- სოფ. ხაშმში, სათავე-ნაგებობის, დაახლ. 500 მ მონაკვეთის ნაპირდაცვის საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადება/სამშენებლო სამუშაოები – 817 817 ლ;
- სოფ. თოხლიაურის, დიდი ჩაილურისა და პატარა ჩაილურის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება/მშენებლობის შესყიდვა – 8 877 591 ლ;
- სოფ. ნინოწმინდისა და წყაროსთავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 8 389 000 ლ;
- სოფ. გიორგიწმინდაში ჭაბურღილების, შემკრები რეზერვუარებისა და სატუმბი სადგურის მოწყობა – 800 000 ლ;
- სოფ. პატარძეულის წყალმომარაგების სისტემის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 8 775 000 ლ.



სოფელ პატარძეულში სასმელი წყლის საკომუნიკაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები

**2021-2022 წლებისთვის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- სოფ. ხაშმში შესასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა – 1 265 000 ლ;
- ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკ.№10, 10a, 12, 12a, კორპუსების ეზოების მოასფალტება/კეთილმოწყობა – 377 451 ლ;
- ქ. საგარეჯო, რუსთაველის ქ. №270, 272, 274 კორპუსების ეზოების მოასფალტება/კეთილმოწყობა – 249 892 ლ;
- სოფ. თოხლიაური, ცენტრალური შიდაგზის მოასფალტება – 286 250 ლ;
- სოფ. ნინოწმინდა-წყაროსთავის გზის მოასფალტება – 549 964 ლ;
- ქ. საგარეჯო, ქურხულიაანთ უბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა – 597 500 ლ;
- სოფ. ბადიაური, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 91 259 ლ;
- სოფ. მანავი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 235 482 ლ;
- სოფ. უდაბნო, გზის მოასფალტება – 249 012 ლ;
- ქ. საგარეჯო, მშვიდობის ქუჩის მოასფალტება – 200 000 ლ;
- ქ. საგარეჯო, ფალიაშვილის ქუჩის მოასფალტება – 200 000 ლ;
- ქ. საგარეჯო, ბარნოვის, რობაქიძისა და 9 ძმის ქუჩების მოასფალტება – 245 076 ლ;
- ქ. საგარეჯო, კეცხოველის ქუჩის მოასფალტება – 223 100 ლ;
- ქ. საგარეჯო, კახეთის ქუჩის მოასფალტება – 67 739.00 ლ;
- ქ. საგარეჯო, რუთაველი-კახეთის ქუჩების დამაკავშირებელი გზების მოასფალტება – 136 019 ლ;
- სოფელ თულარი-კაზლარის ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე ა/საფარის მოწყობა – 252 000 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# ავთანდილ გულიკაშვილი: „საგარეჯოელებს იმედს არასდროს გავუცრუებ!“

**საგარეჯოს მერობისთვის მმართველი გუნდიდან ავთანდილ გულიკაშვილი იბრძვის. მუნიციპალიტეტში ბიზნესმენ ძმებ გულიკაშვილებს კარგად იცნობენ. პატივს სცემენ მათ მშობლებსაც. ამბობს, რომ საგარეჯოში დაბადებულ-გაზრდილს, სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოუდგენია; ამიტომაც გაატარა მთელი ცხოვრება აქ. ამბობს იმასაც, რომ მის მხარეში ბოლო პერიოდში უპრეცედენტო მნიშვნელობის პროექტები დაიწყო ან დაიგეგმა. სწორედ ეს განვითარების ტემპია მიზეზი, რომ ბატონმა ავთანდილმა არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა – სურს, პროგრესში წვლილი თავადაც შეიტანოს. საგარეჯოსთან დაკავშირებით გრძელვადიანი გეგმებიც აქვს, მაგრამ მანამდე, მუნიციპალიტეტში უნდა, რომ ყველა სოფელში იყოს გზა, წყალი და ახალგაზრდა თაობისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურა, არაფორმალური განათლებისა და კულტურული აქტივობის სივრცეები. ამბობს, რომ ტყუილად არავის არაფერს დაპირდება. მისი მთავარი გზავნილი კი, ესაა – „შრომა არ მეზარება. საგარეჯოელების კეთილდღეობისთვის თავდაუზოგავად ვიშრომებ“.**



დაიბადა 1972 წლის 15 მარტს. 1989 წელს დაამთავრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის №4 საჯარო სკოლა, ხოლო 2006 წელს – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აგროინჟინერიის განხრით; პარალელურად, 1998-2005 წლებში, იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს განყოფილების სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომელი; 2005-2006 წლებში – თბილისის მეტროპოლიტენის მომარაგების განყოფილების უფროსი, ხოლო 2006 წელს გადაინაცვლა კერძო სექტორში და შეუდგა მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობას, რომელიც დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, ცნობილი ბრენდია და სადაც თანამედროვე ტექნოლოგიების მიუხედავად, 100-ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**– ბატონო ავთანდილ, მუნიციპალიტეტში თქვენი ოჯახი რით არის ცნობილი და საგარეჯოში როგორი ბავშვობა გქონდათ?**

– საგარეჯოში ჩემს ოჯახსა და მშობლებს კარგად იცნობენ. მამა – შალვა გულიკაშვილი გარეჯის მეურნეობაში, მიწათმომწყობად მუშაობდა. დედა – ნანა ჭაჭუკაშვილი კი 47 წლის განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს სამშობიაროში ბებიაქალად. მას საგარეჯოში ბევრი იცნობს, მისი ხელების სითბო არაერთ ახალშობილს შეუგრძვნია. მეც ქალაქ საგარეჯოში დავიბადე, გავიზარდე და მთელი ცხოვრება აქ გავატარე. სხვაგან არასდროს მიცხოვრია. ერთი ძმა მყავს – ზაზა გულიკაშვილი, რომელიც კერძო სექტორში წარმატებით მოღვაწეობს. ძალიან ლაღი და საინტერესო ბავშვობა გვქონდა. ჩვენს სახლთან მდებარე სპორტულ მოედანზე, ხშირად ვთამაშობდით ფეხბურთს, კალათბურთს. ზოგჯერ, სხვადასხვა სკოლებისა და უბნების გუნდები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მე ბავშვობიდანვე მაღალი ვიყავი და კალათბურთში მეტად წარმატებული. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზო იყო ჩემი და ჩემი მეგობრების მოსასვენებელი სივრცე, სადაც ერთმანეთს მოსაზრებებს ვუზიარებდით. დღემდე მიყვარს ეს ადგილი, სადაც ჩემი ტკბილი მოგონებები „სახლობს“.

**– ბიჭებს მშობლები მკაცრად გზრდიდნენ და თქვენ აღზრდაში დედა უფრო აქტიურად იყო ჩართული თუ მამა?**

– აღზრდაში ორივე აქტიურად მონაწილეობდა. ზომიერად მკაცრები იყვნენ. საღამოს მამა რომ მოვიდოდა, აუცილებლად უნდა ჩაგვებარებინა გაკვეთილები. უმეტესად მომზადებული ვხვდებოდი. მამის დიდი რიდი მქონდა და ყოველთვის ვცდილობდი ნასწავლი დავხვედროდი. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით და ეს დამოკიდებულება ურთიერთობას გვიადვილებდა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო მამაჩემის დედის – ოლა შიოლაშვილის უდიდესი წვლილი ჩემი და ჩემი ძმის აღზრდაში. ოლა ბებო რამდენიმე ათეული წელი საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა და მისი გამოზრდილი თაობები ყოველთვის სიყვარულით იხსენებდნენ.

**– დედა სამედიცინოზე ჩაბარებას არ გირჩევდათ და არ უნდოდა, ექიმი გამოსულიყავით?**

– დედას ძალიან უნდოდა ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი მისწრაფება ეს არ გახლდათ. მთელი ცხოვრება თეთრი ხალათით ვხედავდი და არასდროს მიფიქრია, მეც იგივე პროფესია ამერჩია. უფრო სოფლის მეურნეობა მიტაცებდა და იმიტომ გავხდი აგროინჟინერი. ალბათ ეს ფაქტორი შორეულმა ბავშვობამაც განაპირობა – მამას საოჯახო საქმიანობაში ხშირად ვეხმარებოდი. დილიდან, მამასთან ერთად ვიწყებდით პირუტყვის მოვლას, ბაღვენახის საქმეებშიც ჩართული ვიყავით მე და ჩემი ძმა. ალბათ მამას დამსახურებაა, რომ დღემდე არ გვეზარება შრომა.

**– სპეციალობით აგროინჟინერმა უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა ოპერატიულ სამსახურში რატომ დაიწყეთ?**

– სტუდენტობა ძალიან ცუდ დროს მომიწია. ქვეყანაში არეულობა იყო. სხვათა შორის, პატარა ასაკის მიუხედავად, ეროვნული მოძრაობის დროს, აქციებში ვმონაწილეობდი. თუმცა, პოლიტიკურად არასდროს მიაქტიურია და არც არასდროს შევსულვარ რომელიმე პარტიაში, მაგრამ ყოველთვის მქონდა იმის სურვილი, რომ ჩემი ქვეყნის სტაბილურობასა და წარმატებაში შემეტანა წვლილი, როგორც კი მომეცა შანსი, სწავლის დასრულების შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტროში, საგარეჯოს განყოფილებაში, ოპერატიულ სამსახურში დავიწყე მუშაობა. იმ ეტაპზე ასე გახდა საჭირო – სადაც ჩემს ქვეყანას დავჭირდებოდი, იქ უნდა ვყოფილიყავი. გარკვეული პერიოდი, თბილისის მეტროპოლიტენში, მომარაგების განყოფილების უფროსის მოვალეობას ვასრულებდი. ჩემი ძმა მაშინ უკვე კერძო სექტორში იყო და 2006 წლიდან, მეც გადავწყვიტე, რომ ჩემს პროფესიაში მეცადა ძალები და კერძო სექტორში გადავინაცვლე. მას შემდეგ სულ ჩემი სპეციალობით ვიმუშავე – საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის გენერალური დირექტორი ვიყავი. 4 კაცით დავიწყეთ საქმე და დღეს 100-ზე მეტი ადგილობრივი გვყავს დასაქმებული.

**– როგორი ბიზნესგარემოა დღეს საქართველოში და ხელისუფლებისგან ხელშეწყობა თუ გაქვთ?**

– დღეს, ბიზნესსექტორისთვის ნამდვილად ხელსაყრელი გარემოა იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოსგან საკმაოდ დიდი მხარდაჭერაა ამ მიმართულების განსავითარებლად. „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამები. სახელმწიფო პროგრამამ საგარეჯოშიც გამოიღო უკვე შედეგი. აქ ახალი არაერთი ფერმაა, რაც ძალიან მიხარია. ზოგადად, რეგიონებში და კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ძალიან დიდი წინსვლაა. ქვეყანა აშკარად მიდის განვითარების გზით და საგარეჯოშიც ბევრი რამ შეიცვალა. ხელისუფლებისთვის რეგიონული განვითარება პრიორიტეტია. რეგიონების, განსაკუთრებით კი ჩვენი მხარის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პერსპექტივა, სოფლის მეურნეობის განვითარებაა. მიხარია, რომ ამ სფეროს, გლეხს, ფერმერს დღეს სათანადო ყურადღება ექცევა.

**– პანდემიამ ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. განსაკუთრებით ტურისტული სექტორი დაზარალდა. საგარეჯოს თუ აქვს ტურიზმის განვითარების პოტენციალი და თუ წესრიგდება მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურა?**

– ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს: მუნიციპალიტეტმა მიიღოს მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან. ტურიზმის პოლიტიკის საბოლოო მიზანია სახელმწიფოს პროგრესის გაუმჯობესება და მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, საგარეჯოში, როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის, 2020 წელს დაიწყო მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა, დავითგარეჯას მონასტერთან მისასვლელი 40 კმ-მდე გზა სრულად დაიფარა ასფალტო-ბეტონის საფარით. პროექტის საშუალებით მოხდება უკვე არსებული ბიზნესსუბიექტების საქმიანობის სფეროს გაფართოება. გაიზრდება ქალბატონების ფუნქცია და როლი – ტრადიციული ქართული კერძებისა და რეწვის ნიმუშების პრეზენტაციისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. ჩემი მიზანია, ხელი შევუწყო ინფრასტრუქტურის განვითარებას ახალი ბიზნესსაქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

**– ამბობთ, რომ მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. რა შეიცვალა საგარეჯოში ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ?**

– საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის წინაშე მდგარი რთული ამოცანების გამო, საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ირიგაციის ინფრასტრუქტურის აღდგენას. ამ გადაწყვეტილების მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარებას მეურნეობების ეფექტური ფუნქციონირებასა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და ხელშეწყობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში, პრიორიტეტული სარწყავი ქსელების მეორე, მესამე და მეოთ-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ხე რიგის არხების რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციის სამუშაოები განახორციელა.

რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურას, ისეთ სოფლებში დაიგო ასფალტისსაფარიანი გზა, წარმოდგენაც რომ არ შეგვეძლო. პეტრე-პავლეს სახელობის და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებთან ასასვლელ გზებზე რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო.

ე.წ. სადგურის დასახლებაში, სადაც 1980-იან წლებშიც კი ვერ მოხერხდა გზის მოწესრიგება, ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს და მალე ადგილობრივები ახალი გზით ისარგებლებენ. დაწყებულია წყალმომარაგების საკომუნიკაციო ქსელის გაყვანა და გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს ისეთ სოფლებში, სადაც ბუნებრივი აირი შეყვანილი არ იყო. მაგალითად, გომბორში, უჯარმაში...

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აშენდა ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეები და მინი სტადიონები.

საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებას სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, აშენდა რამდენიმე ახალი სკოლა და ბაღი.

**– ამდენი განხორციელებული პროექტის ფონზე, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საგარეჯო და თქვენ რა გეგმები გაქვთ?**

– ჩემი გეგმაა, წყლის საკითხი ისე მოგვარდეს, რომ ყველა სოფელში, ყველა ოჯახში იყოს მუდმივი, ხარისხიანი წყალმომარაგება. სადაც არ არის შიდაგზები მოწესრიგებული, აუცილებლად უნდა მოვაწესრიგოთ. მოკლედ, ჩემი პრიორიტეტია, ყველა სოფელს ჰქონდეს წყალი და გზა. ასევე, ძალიან მინდა, მეტი მცირე საწარმო გაიხსნას. ადამიანებს მაქსიმალურად მივაწვდი ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების შესახებ. კარგი იქნება, მაგალითად, სოფელ უდაბნოში, რძის შემკრები პუნქტი გაკეთდეს, სადაც ადგილობრივები დასაქმდებიან, ყველის, კარაქის, სულგუნის წარმოებას დაიწყებენ. გომბორშიც შეიძლება მსგავსი პროექტის განხორციელება და ზოგადად, ყველა იმ სოფელში, სადაც მესაქონლეობა არის განვითარებული. გარდა ამისა, ჩემი პრიორიტეტი იქნება ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათი აქტიური ჩართვა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და მათი საჭიროებების განსაზღვრა. კულტურის სახლისთვის კულტურული ცენტრის სტატუსის მინიჭება და რეაბილიტაცია ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. საგარეჯოს არაერთი ცნობილი ხელოვანი გამოუზრდია და ამ ადამიანებს შესაფერისი გარემო უნდა შევუქმნათ, რათა ისევ აქტიურად განაგრძონ მოღვაწეობა. სულ 2 მუზეუმი გვაქვს საგარეჯოში – მხარეთმცოდნეობისა და გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმი. ამ სივრცეებს მეტი ფუნქცია უნდა შევძინოთ, უნდა ვაქციოთ საგანმანათლებლო კერებად. სოფელ ხაშმში, დიდი მწერლის – რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმის აშენებაზეც უნდა ვიზრუნო. საგარეჯო სპორტის, ფალავნებისა და ჩემპიონების სამშობლოა, ამიტომ სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა განხორციელდეს, რათა ხელი შევუწყოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და სპორტული აქტივობით დავაკავოთ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა.

კარგი იქნება სხვადასხვა დასასვენებელი სივრცის მოწყობა. ამ მიმართულებით აუცილებლად ვიაქტიურებ. ყურადღებას მივაქცევ განათლებასაც. რამდენიმე საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები ეზოების კეთილმოწყობას ითხოვენ. ყველა სოფლის საჭიროებებს გავეცნობი და ვეცდები, შეძლებისდაგვარად დავუდგე მათ გვერდით. დარწმუნებული ვარ, გუნდის მხრიდან მხარდაჭერაც მექნება, რადგან „ქართული ოცნება“ სწორედ ასეთი პოლიტიკური პარტიაა – ხალხს ყოველთვის უსმენს და ცდილობს, გეგმები მათი საჭიროებებიდან, მათი ინტერესებიდან გამომდინარე დასახოს.

ამიტომ, გუნდური მუშაობით, საერთო მიზნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ვიბრძოლებ ხალხის წარმატებული მომავლისთვის, კეთილდღეობისთვის, თითოეული მოქალაქის პრობლემის გადაჭრისა და გამოსწორებისთვის. არ შევუშინდები კრიტიკას, რადგან ვინც ქმნის – ის იმსახურებს გარკვეულ შეფასებებს საზოგადოების მხრიდან და მზად ვარ ვიღვაწო ძლიერი ოჯახების, ძლიერი სოფლის, ძლიერი რაიონისა და ძლიერი სახელმწიფოს აღშენებისთვის!

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, დახმარება გაეწია სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ასეულობით ადგილობრივ მოსახლეს, სოფლის მეურნეობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს საჭიროებები – მაგალითად, სასმელი წყლის საკითხი, რომელიც მთავარი და პრიორიტეტულია. ამიტომ, აქტიურად ჩავერთვები უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით სახელმწიფოს მიერ, უკვე დაწყებული მასშტაბური პროექტების განხორციელება-მონიტორინგში, რათა დროულად გადავჭრათ აღნიშნული პრობლემა. მუდმივად გავმართავ მოსახლეობასთან გეგმურ შეხვედრებს, ადგილზე გავეცნობი მათ პრობლემებს და თავად ვაკონტროლებ შეხვედრისას დასახელებული საჭიროებების გადაჭრის ეტაპებსა და შედეგებს. აქტიურად გავაგრძელებ მუშაობას მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციის რეჟიმში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საერთო ეკონომიკური ფონის გაძლიერების მიზნით, აქტიურად დავიწყებ მდგრადი ტურიზმის განვითარებას, რათა ხელი შევუწყოთ ადგილობრივ ბიზნესს.

**– ესაა მიზეზი, რის გამოც დღეს „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?**

– „ქართული ოცნების“ პარტიის მიერ გაცხადებული გეგმები და პრიორიტეტები ჩემთვის მისაღები აღმოჩნდა, შემდეგ კი თვალნათლივ დავინახე ხელისუფლების დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ. სხვა თუ არაფერი, ჩემთვის, ბიზნესმენისთვის, ეს საკმარისი იყო, რომ ამ გუნდისთვის მხარი დამეჭირა ყველა არჩევნებში. წლების განმავლობაში მმართველმა პარტიამ იმედები არ გაგვიცრუა. მეტიც, ყველაფერი გააკეთა ქვეყნის განვითარებისთვის. ეს კი, იმდენად ისტორიული პროცესია, შეუძლებელია მასში მონაწილეობის სურვილი არ გაგიჩნდეს; მით უმეტეს, როცა გუნდი ნდობას გიცხადებს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

**– ფიქრობთ, 2 ოქტომბრის შემდეგ ამ პასუხისმგებლობის აღება მოგიწევთ?**

– დიახ. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებას“ საგარეჯოელები მხარს დაუჭერენ. ჩემს გამარჯვებაშიც დარწმუნებული ვარ, თანაც – პირველივე ტურში. ამას ხალხთან შეხვედრებისას ვგრძნობ. მათ გულწრფელად ვუხსნი, რომ ეტაპობრივად ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენი მოვალეობაა და რაც შეგვეძლება. შრომა არასდროს დამზარებია. დღედაღამ ვიშრომებ საგარეჯოელების კეთილდღეობისთვის. ამომრჩეველს ტყუილად არაფერს ვპირდები. მოსახლეობის განწყობა ასეთია – მათ ჩემი იმედი აქვთ და საგარეჯოელებს იმედს არასდროს გავუცრუებ!

# ავთანდილ გულიკაშვილის ბედნიერი ოჯახი და ქველმოქმედება



მომავალი მეუღლე ჯერ კიდევ სტუდენტობის ასაკში გაიცნო. ირმა ოთარაშვილიც საგარეჯოელია და ერთმანეთიც აქ გაიცნეს. ნაცნობობის 5 წლიდან, შეყვარებულობის პერიოდი, დაახლოებით ბოლო 2 წელი იყო. შემდეგ დაქორწინება გადაწყვიტეს. ქალბატონი ირმა დღეს დიასახლისია, მაგრამ პროფესიით ინგლისურის პედაგოგმა, 17 წელი ასწავლა უცხო ენა საგარეჯოს სკოლაში.

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ პირველი შვილი შეეძინათ. გოგონას ნინო დაარქვეს. ნინოზე ბავშვობიდან მოახდინა შთაბეჭდილება ბებიის პროფესიამ და ექიმობა გადაწყვიტა. რადგან ბავშვები განსაკუთრებით უყვარს, პედიატრიის განხრით წავიდა. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა. ამჟამად მეხუთე კურსზეა და სტიპენდიანტიც გახლავთ. მამა-შვილს განსაკუთრებული, თბილი ურთიერთობა აქვს. ნინო დღის განმავლობაში რამდენჯერმე ურეკავს მამას ამბის გასაგებად. წინასაარჩევნო პერიოდში კი, ამხნევებს და მხარდაჭერას უცხადებს, ისე, როგორც მთელი ოჯახი.

უმცროსი შვილი შალვა გულიკაშვილი სკოლის მოსწავლეა. დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა იტაცებს და ამ ფონზე, როგორც მოსალოდნელი იყო, იურისტობას გეგმავს. შალვა მე-12 კლასშია. მოსწონს კრივი და ვარჯიშობს კიდეც. შალვა ყოჩაღი ბიჭია. მამას ვენახშიც ხშირად ეხმარება. რთველი მათთვის განსაკუთრებული დღესასწაულია. აიღებენ რქაწითელის მოსავალს და დაწურავენ საოჯახო ღვინოს. ამ ღვინით სტუმრად მოსულ ნათესავებს, მეგობრებს გაუმასპინძლდებიან. თამადა, ბატონი ავთანდილი იქნება, რომელიც ყველაზე დიდი სიყვარულითა და ემოციით სამშობლოს – საქართველოს სადღეგრძელოს შესვამს.

ოჯახის ყველაზე საყვარელი დღესასწაული გიორგობაა. ამ დღეს აუცილებლად მოილოცავენ წმინდა გიორგის ეკლესიას. წმინდა გიორგის ხატთან სანთლებს დაანთებენ და მფარველობას სთხოვენ. სხვათა შორის აქ, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან, მისასვლელი ბილიკები და მოაჯირები, ასევე მოსასვენებელი სივრცე, ბიზნესმენი ძმების გაკეთებულია.

ქველმოქმედება და ეკლესიების ხელისშევლება, გარკვეულწილად ძმების ჰობია. საგარეჯოში ამის შესახებ იციან. იციან ისიც, რომ სწორედ მათ მოხატეს დოდოსუბანში წმინდა დოდო გარეჯელის სახელობის ეკლესია. ამ უბანში გაზრდილ ავთანდილ გულიკაშვილს ეს ეკლესია განსაკუთრებით უყვარს. აქ მისი სულის ნავსაყუდელია, სადაც ხშირად მოდის და საკუთარ თავს უღრმავდება, რათა განვლილ ცხოვრებას თვალი გადაავლოს და იმაშიც დარწმუნდეს, რომ ცხოვრების ყველა ეტაპზე, სწორი გადაწყვეტილებები მიიღო.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტზე, გამოიყო 55 681 537 ლარი, დაფინანსდა 91 933 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (4 136 440 ლარით 292 910 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (3 875 634 ლარით 48 634 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (35 764 003 ლარით 22 895 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (8 369 830 ლარი 8 581 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (3 396 134 ლარით 6 039 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 018 846 ლარით 4 229 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 4 046 ბენეფიციარი (213 728 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში,** 2019 წელს, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 95.9% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **საგარეჯოში,** სტაციონარული მკურნალობით 157-მა (538 293 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 11 011-მა პაციენტმა (151 933 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 6 581 ორსული (349 089 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილი 1292.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 577 პირი, დაიხარჯა – 112 856 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **საგარეჯოში,** 2013-2021 წლებში, სულ 704 შემთხვევა 1 335 206 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **საგარეჯოს მუნიციპალიტეტს 56 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: გიორგიწმინდა (17 916 ლ), ყანდაურა (9 788 ლ), თოხლიაური (14 681 ლ), მანავი (9 345 ლ), ხაშმი (36 822), პატარძეული (4 244 ლ), უდაბნო (5 907 ლ), გომბორი (760 ლ). ამბულატორიების ახალი შენობების მშენებლობა სოფლებში: დიდი ჩაილური (53 115 ლ), გომბორი, სასწრაფო დახმარების ახალი შენობის მშენებლობა (214 849 ლ), ქ. საგარეჯო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი შენობის მშენებლობა (328 643 ლ).

2013 წელთან შედარებით, **6,4-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 529,5 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 82,5 ათასი ლ).

**საგარეჯოში, 2012 წლიდან დღემდე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები/ქვეპროგრამები.** მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (სოციალურად დაუცველი ოჯახების სტაციონალური, ამბოლატორიული მკურნალობის, გამოკვლევების, ონკოლოგიური პაციენტების, შშმ პირების და სოციალურად დაუცველი პირების რეაბილიტაციის, მედიკამენტების, დამხმარე საშუალებების, იშვიათი დაავადების მქონე პირების, კრიზისულ ბავშვთა კვების დაფინანსება, ეპიდზედამხედველობა და სხვ.) და სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **საგარეჯოს მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 9229 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,4-ჯერ – 10 446 359-დან 24 838 207 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 153 634 779 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **საგარეჯოში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 164 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,9-ჯერ – 173 223-დან 677 561 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 4 574 687 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1843 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,9-ჯერ – 2 257 ათასიდან 4177 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 29 698 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 7079 ათასი, შშმ პირებზე – 2282 ათასი, ბავშვებზე – 11 401 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **საგარეჯოში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1745 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,4-ჯერ – 450 794-დან 2 893 458 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 18 457 756 ლარი.



**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 186 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,2-ჯერ, 49 532 ლარიდან 109 395 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში (1 აპრილის მონაცემებით) სულ დაიხარჯა 762 770 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 23 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 23 ოჯახს შეუსყიდა; **საქართველოს მასშტაბით,მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **საგარეჯოში,** დაფინანსებულია 476 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 4 430 600 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 826 500 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან საგარეჯოს მუნიციპალიტეტზე – 2 956 656 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1239 ოჯახი, 2021 წელს – 1444. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **მუნიციპალიტეტში,** 2020 წელს, ისარგებლა 424-მა ოჯახმა, 2021 წ. – 509-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – **საგარეჯოში,** პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 428 პირი, 2021 წ. – 443 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (**6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **თითქმის 2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1071,8 ათასი ლარი შეადგინა, (2013 წ. – 550,9 ათასი ლ).

**2012 წლიდან დღემდე, საგარეჯოს ბიუჯეტიდან ხორციელდება სოციალური დახმარების 17 მუნიციპალური პროგრამა.** მათ შორისა ეკონომიურად და სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულაა 57000- 100000-მდე, პირველ და მეორე შვილზე ოჯახების დახმარებას, მარტოხელა მშობლის დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახის დახმარებას, უდედმამო ბავშვების დახმარებას, შშმ ბავშვების დახმარებას, უფასო სადილის დაფინანსებას, ბინის ქირის კომპენსაციას, ელექტრო ენერგიის, გაზის და გათბობის შეღავათები და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.




2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** საგარეჯოში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 29 დაწესებულება და 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (6 – ქ. საგარეჯოში, 25 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეჯოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 3 მლნ 338, 2 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 827,3 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 132,2 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს,** გაზიფიცირებულია მზისგულის, ყანდაურას, ბადიაურის, კაკაბეთის, ვერხვიანის, ჩაილურის, დიდი ჩაილურის, მანავის №1 და №2, თოხლიაურის საბავშვო ბაღები.

2014-2019 წლებში, **საგარეჯოს მუნიციპალიტეტში,** განხორციელდა საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 13 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, 1 მლნ 656,5 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2014-2016 წლებში, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე გაწეულმა დანახარჯებმა სულ 856,3 ათასი ლარი შეადგინა.

**2014 წელს –** აშენდა უდაბნოს საბავშვო ბაღის ახალი შენობა (301 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); განხორციელდა სოფელ მანავის №1 და №2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (47,6 ათასი ლარი); **2015 წელს –** აშენდა ქ. საგარეჯოს №4 საბავშვო ბაღის ახალი შენობა (105,2 ათასი ლარი); რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ გომბორის (87 ათასი ლარი); ქ. საგარეჯოში, კოსტავას ქ.-ზე მდებარე (111 ათასი ლარი) და მანავის (132 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებს. ამავე ფონდის დაფინანსებით, **2016 წელს –** კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა და მოეწყო ცენტრალური გათბობა საგარეჯოს №3 (70,1 ათასი ლარი) და ბადიაურის (89 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებში. შეკეთდა სოფელ მანავის №2 საბავშვო ბაღი (48,3 ათასი ლარი). საბავშვო ბაღები აღიჭურვა სხვადასხვა სახის ინვენტარითა და ეზოს სათამაშოებით; ყველა გაზიფიცირებულ ბაღში დამონტაჟდა გაზის გამათბობლები. **2017 წელს –** სოფ. ნინოწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 227,6 ათასი ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მოეწყო ცენტრალური გათბობა, შეკეთდა სველი წერტილები, შესრულდა სხვადასხვა ტიპის სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების ადმინისტრაციის ოთა-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ხები; ყველა საბავშვო ბაღისთვის შეიძინეს სათამაშოები; **2018 წელს** გარემონტდა უჯარმის, ხაშმის, პატარძეულის №1, პატარძეულის №2, წყაროსთავის, გიორგიწმინდის, დიდი ჩაილურის და დუზაგრამის საბავშვო ბაღების კვების ბლოკები. გადამზადდნენ მენეჯერები და მზარეულები. **2018-2019** წლებში – სოფელ კოჭბანში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი (208 ათასი ლარი); განხორციელდა ქ. საგარეჯოში №5 ბაღის სრული რეაბილიტაცია (346,8 ათასი ლარი); **2019 წელს –** განხორციელდა ქ. საგარეჯოს №3, პატარძეულის №1 და №2, ხაშმისა და პატარა ჩაილურის ბაღების რემონტი (46 ათასი ლარი). ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა 10-ზე მეტ საბავშვო ბაღში. ყველა ბაღში განახლდა სხვადასხვა სახის ტექნიკა. **2020 წელს დასრულდა** მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის 13 პროექტი (ჯამში, 234, 3 ათასი ლარი). აღიჭურვა და გაიხსნა სოფ. კოჭბანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. მთის ზონაში (სოფლები გომბორი, კოჭბანი) და სოფ. მანავში უზრუნველყოფილია აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება. რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა სოფ. უჯარმაში, საბავშო ბაღის სრული რეაბილიტაცია (227 ათასი ლარი) და სოფ. პატარძეულის №2 საბავშვო ბაღის შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები (438 ათასი ლარი). **2021 წელს** რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით დასრულდა უჯარმისა და პატარძეულის №2 ბაღების სრული რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით – კაკაბეთის №2 ბაღში სარემონტო სამუშაოები. 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასრულდა სამფაზიანი დენის შეყვანა და ელექტროქურების შეძენა.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1216-დან 1516-მდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, 3,3 ლარამდე გაიზარდა **კვების** ყოველდღიური თანხა თითოეულ აღსაზრდელზე. მუნიციპალიტეტის 31 საბავშვო ბაღში 63 აღმზრდელ-პედაგოგი და 66 აღმზრდელია. საბავშვო ბაღებს 29 ექიმი/ექთანი და 13 ფსიქოლოგი ემსახურება. აღმზრდელთა ხელფასები, 2012 წლის 200 ლართან შედარებით, 450 ლარამდე გაიზარდა. **სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია სკოლამდელი აღზრდის 9 სკოლამდელ და 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. სასკოლო მზაობის 11 ჯგუფში 251 ბავშვია ჩართული.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 4 და მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე 4 სოფელში), სადაც 8103 მოსწავლე, 762 მასწავლებელი და 42 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 64 სსსმ მოსწავლე. 13 საჯარო სკოლაში 32 მანდატურია. სკოლებს 6 ექიმი/ექთანი და ერთი ფსიქოლოგი ემსახურება. **2019 წლის** მონაცემებით, მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, 36 კონსულტანტ-მასწავლებელი იყო.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:** 2017– 2019 წლებში,**ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 6 საჯარო სკოლას 40 კომპიუტერი გადაეცა. 2019-2020 წლებში „ახალი სკოლის" მოდელი დაინერგა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 7 საჯარო სკოლაში. **„ახალი სკოლის მოდელის"** ფარგლებში კი 5 სკოლას 76 ლეპტოპი. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 44 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 11 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** 5 სკოლა აღიჭურვა. **2015-2019 წლებში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 56 პროექტი განხორციელდა. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, ჯამში, 1334 **სასკოლო ჟურნალი** და 163 292 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს 5012 კომპიუტერი გადაეცათ, 229 – კლასის დამრიგებლებს, 193 – წარჩინებულ მოსწავლეს. ამავე პერიოდში საგარეჯოს საჯარო სკოლებში, საერთო ჯამში, 181 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 55 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 21 სკოლა. ცენტრალური გათბობით აღჭურვილია 18. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 3 სკოლაა ჩართული.

**2013 წელს** განხორციელდა 6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 445,3 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 577,5 ათასი ლარი დაიხარჯა, განხორციელდა ლამბალოს სკოლის მშენებლობა (4 მლნ 297,1 ათასი ლარი); **2015 წელს** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 14 პროექტი, რაზეც სულ 633,9 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს** განხორციელდა 6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (ჯამში 299,4 ათასი ლარი). იორმუღანლოში **აშენდა** ახალი სკოლა (492, 5 ათასი ლარი). **2017 წელს** უდაბნოს საჯარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა (123,4 ათასი ლარი), განხორციელდა სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. **2018 წელი MCC –** ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა: ქ. საგარეჯოს №2 (319,4 ათასი ლარი); კაკაბეთისა (468,8 ათასი ლარი) და პატარძეულის საჯარო სკოლებს (343 ათასი ლარი).

**2019 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საგარეჯოში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 14 პროექტი განხორციელდა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 782,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **განხორციელდა** სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია; სამედიცინო ოთახი მოეწყო ქ. საგარეჯოს №3 სკოლაში; გამაგრდა სოფელ ყანდაურას სკოლის შენობა; გათბობის სისტემები მოეწყო სოფელ ნინოწმინდის, ხაშმისა და ლამბალოს საჯარო სკოლებში; ტერიტორია კეთილმოეწყო, გარე საკანალიზაციო სისტემა მოეწყო და სატუმბი სადგური აშენდა სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლაში.

**2019-2020 წლებში,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 988 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2020 წლის ივნისი-აგვისტოში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში**, განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის 9 პროექტი, რაზეც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში, 671,7 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილები მოეწყო სოფელ მუღანლოს, პატარა ჩაილურის, მზისგულის, ყანდაურას, დიდი ჩაილურის, ქალაქ საგარეჯოს №3, უჯარმის, დუზაგრამის, კოჭბანის საჯარო სკოლებში.

## პროფესიული განათლება

**ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, საგარეჯოში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების 5 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

### „ქართული ოცნების" უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, საბავშვო ბაღი აშენდება სოფელ ლამბალოსა და სათაფლეში. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- 2022 წელს დაგეგმილია ახალი შენობების აშენება სოფ. იორმუღანლოს, თულარისა და საგარეჯოს №6 ბაღებისთვის. დაგეგმილია პერსონალის გადამზადება. ყველა ბაღში დასრულდება ცენტრალური გათბობის მოწყობა;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება საგარეჯოში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები;
- ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება მანავის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობა – 80 ათასი ლარი. ლარი;
- 2021–2025 წლებში იგეგმება: იორმუღანლოს საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა; მანავის საჯარო სკოლისა და პატარა ჩაილურის საჯარო სკოლების გათბობის სისტემების მონტაჟი;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგ-კურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**საგარეჯოში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, ა(ა)იპ ჯ. ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა და საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი), ხელოვნების სკოლა, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ანსამბლები: „ჩინარი“, „გარეჯი“, „კასლეთილა“, „პატარა გარეჯელები“, „ბერიკაცები“, „მირელა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს **კულტურის** სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 546,5 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 374,1 ათასი ლარი იყო.

**2014-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში იმართებოდა სახალხო დღესასწაულები: გოგლაობა, ბერიკაობა (ჩაილურში), „აქ მთელი საქართველოა” (გარეჯის უდაბნოში), ვაჟაობა (კოჭბანში), რეზოობა (ხაშმში), ეწყობა ნუმიზმატიკის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, მხატვრების ნამუშევრების გამოფენები. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის ტარდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილები, იმართებოდა აქცია „ღამე მუზეუმში“, ლიტერატურული საღამოები, ეწყობოდა გ. ლეონიძის ხელნაწერთა და მემორიალური ნივთების გამოფენები, ნახატების გამოფენა „ნატვრის ხის პერსონაჟები“, იმართებოდა სახალხო თეატრისა და თოჯინების თეატრის სპექტაკლები და ანსამბლების: „გარეჯის“, „ჩინარის“, „პატარა გარეჯელების“, „კასლეთილას“, „კაკაბელების“, „იმედისა“ და „მირელას“ კონცერტები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშები, აღინიშნებოდა თეატრის საერთაშორისო დღე და ტარდებოდა სხვა მნიშვნელოვანი თარიღების აღმნიშვნელი ღონისძიებები.

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელა:** დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, დოდოს რქის ცენტრალური ტაძრის გადაუდებელი დაცვითი სამუშაოები (19 ათასი ლარი); უჯარმის ციხის ტერიტორია – არქეოლოგიური სამუშაოები (3 ათასი ლარი); დავით გარეჯის დოდოს რქის სამონასტრო კომპლექსი, ახალგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია და მოხატულობა (სულ – 47 ათასი ლარი); „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ (2,5 ათასი ლარი); წმინდა დოდო გარეჯელის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები (3 ათასი ლარი); კაწარეთის სამების რეაბილიტაცია (30 ათასი ლარი); ჯვარპატიოსნის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების I ეტაპი (29,4 ათასი ლარი); უჯარმის ჯვარპატიოსანის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების I ეტაპი (28,5 ათასი ლარი), უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაციის ორი ეტაპი (230 ათასი ლარი), უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაციის III ეტაპის სამუშაოები (436,8 ათასი ლარი), დავით გარეჯის დოდოს რქის სამონასტრო კომპლექსის დარბაზული ეკლესიის კედლის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები (40 ათასი ლარი), უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაციის IV ეტაპის სამუშაოები (285 ათასი ლარი). **მიმდინარეობს** უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაციის V ეტაპის სამუშაოები (500 ათასი ლარი). უჯარმის ისტორიულ მუზეუმ-ნაკრძალს, 2015-2021 წლებში, საერთო ჯამში, 65 133 დამთვალიერებელი სტუმრობდა.



**გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა**

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჩართულობით განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის:**

**2012 წელს** – რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა ქ. საგარეჯოში ეთნოგრაფიული მუზეუმის საექსპონატო დარბაზის შიდა სამუშაოებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის პროექტი (310 ათასი ლარი).

**2017 წელი –** დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების – ნინოწმინდისა და დავით გარეჯის მცირე რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მეორე ფაზა (2 მლნ 236,3 ათასი ლარი); მომზადდა უჯარმის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი; ჩატარდა უჯარმის ციხის რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში №18 კოშკის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; მომზადდა უჯარმის კაფის გათბობა-ვენტილაციის, ელექტრომომარაგებისა და წყალგაყვანილობის სისტემის პროექტი; „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის“ ფონდის დაფინანსებით განხორციელდა დოდორქის ახლად გამოვლენილი ეკლესიის კედლის მხატვრობის სრული კონსერვაცია (30 ათასი ლარი).

**2018 წლიდან** მიმდინარეობს უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია. 2018-2019 წლებში აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 736 ათასი ლარი დაიხარჯა და პროექტი ამჟამადაც გრძელდება.

**2017-2018 წლებში** განხორციელდა დავით გარეჯის ლავრის მონასტერში არსებული საყრდენი კედლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები (568,5 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი).

**2018-2019 წლებში** განხორციელდა გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის რემონტი. მოეწყო „მარიტას ბაღი“ (სულ – 37 ათასი ლარი).

**2018 წელი –** უჯარმის ციხის ინფრასტრუქტურისა და კოშკის გამაგრების პროექტი; კაწარეთის სამების სამონასტრო კომპლექსის ტექნიკური კვლევითი დოკუმენტაციის მომზადება; გარეჯის კლდის ძეგლების (მრავალწყარო, ნათლისმცემელი, საბერეები, გარეჯის ლავრა) წინასწარი კვლევა და წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაცია I და II ეტაპი.

**2019 წელი –** გარეჯის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების (საბერეები, მრავალწყარო) – კომპლექსური კვლევა – მონიტორინგის გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოების I ეტაპი; სოფ. ხაშმი, კაწარეთის სამების კომპლექსისა და იოანე ნათლისმცემლის კომპლექსის სარეაბილიტაციო-საადაპტაციო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; დავით გარეჯის დოდო რქის სამონასტრო კომპლექსის ახალგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის კედლის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები.

**2020 წელი** – დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების – კომპლექსური კვლევა-მონიტორინგი, გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოების II ეტაპი; უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაციის მე-4 ეტაპი.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის **საგარეჯოს მუნიციპალიტეტში,** კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „ციხე-სიმაგრეები მომავლის მცველები“ (16,2 ათასი ლარი).

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება,** ა(ა)იპ საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა, ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ვეფხვები“ და შპს საფეხბურთო კლუბი „გარეჯი 1960“.

სპორტული გაერთიანების სექციებში 2017 წელს – 572, 2018 წელს – 466, 2019 წელს – 500 მდე, 2020 წელს – 511, მიმდინარე წელს კი 399 სპორტსმენია ჩართული.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 921,8 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 373 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ძიუდო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სამბო, ჭადრაკი, რაგბი, ფეხბურთი, მკლავჭიდი და ცურვა.

**აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები:** თავისუფალი ჭიდაობა – 1 ევროპის ჩემპიონი, 4 საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, 6 საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული; ძიუდო – 1 საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში, 3– საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში, 6 ევროპის ჩემპიონი და 2 მე-2 ადგილოსანი, 2 მსოფლიოს პირველობის მე-2 ადგილოსანი; სამბო – 4 საქართველოს ჩემპიონი, 4 ევროპის ჩემპიონი და 2 მეორე ადგილოსანი, 1 მსოფლიოს ჩემპიონი; ქალთა ძიუდო – 4 საქართველოს ჩემპიონი, 6 საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, 1 თბილისის ოლიმპიური ფესტივალის მესამე ადგილოსანი, 1 ევროპის თასის მესამე ადგილოსანი; გოგონათა სამბო – 2 ევროპის თასის პრიზიორი და სხვ.

**2014-2021 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2014 წელს –** სპორტული გაერთიანების სპორტული დარბაზის გათბობის სისტემის მოწყობა (22,3 ათასი ლარი); სპორტული დარბაზის კარ-ფანჯრების რემონტი (22,4 ათასი ლარი).

**2016-2020 წელს** – სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის 6 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 1 მლნ 258 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის: შ. გზირიშვილის სახელობის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (18,6 ათასი ლარი); სოფელ ბურდიანის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (17 ათასი ლარი); ქ. საგარეჯოში სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოები (636,7 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); ქ. საგარეჯოში, საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისა და საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები (533,3 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე მინისტადიონის რეაბილიტაცია (29,3 ათასი ლარი); სოფელ წყაროსთავში მინისტადიონზე ხელოვნური საფარის მოწყობა (23,2 თასი ლარი).

**2017 წელს –** სოფელ ყანდაურას სტადიონის რეაბილიტაციას 19,8 ათასი ლარი მოხმარდა;

**2018 წელს –** დასრულდა ღია საცურაო აუზის (საგარეჯოს №105 სასპორტო სკოლის საცურაო აუზი) შეკეთება და შემოღობვა ქ. საგარეჯოში, რაზეც 31,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2019 წელს –** განხორციელდა სოფელ ბურდიანის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (17 ათასი ლარი), სოფელ პატარძეულში რაგბის მოედნის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის პროექტები, სოფელ მანავში მოეწყო სპორტული დარბაზი.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**2020 წელს –** სოფელ გომბორში, საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციას 152 ათასი ლარი მოხმარდა (რეგიონული განვითარების ფონდი); სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაზე სოფელ მზისგულში 15,6 ათასი ლარი დაიხარჯა; მინისტადიონების მოწყობა სოფელ კაკაბეთსა და იორმუღნლო-ქეშალოში (თითოეული 19,5 ათასი ლარი). აშენდა სპორტული დარბაზი სოფელ ბადიაურში – 292,3 ათასი ლარი (რეგიონული განვითარების ფონდი); გაკეთდა სპორტული მოედნები ქ. საგარეჯოსა და სოფელ უდაბნოში; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სხვადასხვა სპორტულ ობიექტს.

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 13 შიდაჩემპიონატი ჩაატარეს (63,3 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,6 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (დაიხარჯა 7,9 ათასი ლარი).

მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“.

### ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით** სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: ტრენინგი „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ონლაინ კამპანია – არა სიძულვილს“ (საგარეჯო, თელავი, გურჯაანი, ახმეტა. თითო ტრენინგზე – 30 მონაწილე); რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით ლაშქრობების მოწყობა (5-5 მონაწილე რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა” (საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგი დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, აბიტურიენტებთან, 70 მონაწილე); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (2-2 მონაწილე რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სხვ.

**2017 წელს სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** ა(ა)იპ „ფინიკი“ ახორციელებს პროექტს „ნატვრის ხე” (19,9 ათასი ლარი). პროექტი მოიცავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში ბიბლიოთეკა-ცენტრის „ნატვრის ხის” მოწყობა-განთავსებასა და მოსწავლე-ახალგაზრდების წიგნიერების დონის ამაღლებას.

2021 წელს საქართველოს წითელი ჯვრის კოორდინირებითა და სააგენტოს მხარდაჭერით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- 2021-2025 წლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის 10 ძეგლის რეაბილიტაციის პროექტების შეძენა, მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით;
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია კაწარეთის სამებისა და იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსების რეაბილიტაცია – 3 მლნ ლარი; დასრულდება უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაცია – 6 მლნ ლარი; გაგრძელდება გარეჯის კლდის ძეგლების (მრავალწყარო, ნათლისმცემელი, საბერეები, გარეჯის ლავრა) კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები (600 ათასი ლარი);
- საგარეჯოს კულტურის სახლში გაკეთდება სცენის განათება (20 ათასი ლარი) და განხორციელდება ვენტილაციის სისტემის რეკონსტრუქცია (180 ათასი ლარი);
- დაგეგმილია: სოფელ მუხროვანთან მდებარე „გამოქვაბული მონასტრის“ რესტავრაცია-კონსერვაცია (70 ათასი ლარი); სამეკლესიიანი ბაზილიკის რესტავრაცია სოფელ ოთარაანში (55 ათასი ლარი); წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის („ვედრებელა”) რესტავრაცია სოფელ მანავში (100 ათასი ლარი);
- დაგეგმილია: საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და ექსპონატების შესანახი საცავის აშენება (112 ათასი ლარი); საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის, სოფ. კაკაბეთისა და პატარძეულის ბიბლიოთეკების აღდგენა-რეაბილიტაცია (80 ათასი ლარი); საგარეჯოს ხელოვნების სკოლის ინვენტარით აღჭურვა და ზამთრის სეზონისთვის მომზადება (10 ათასი ლარი); საგარეჯოს კულტურის სახლის რეაბილიტაციის 6 პროექტი (487,8 ათასი ლარი);
- გაგრძელდება დავით გარეჯის კომპლექსის კომპლექსური კვლევა, მონიტორინგის გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოების განხორციელება; უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია/კონსერვაცია;
- 2021–2025 წლებში, მთის ზონაში, სოფ. გომბორსა და სოფელ მანავში გაიხსნება ჭიდაობის სექცია;
- იგეგმება ძიუდოს დარბაზის მოწყობა სოფ. უდაბნოში, კაკაბეთსა და მუნიციპალიტეტის კიდევ რამდენიმე სოფელში;
- იგეგმება სპორტული მოედნების მშენებლობა სოფელ კოჭბანსა და იმ სოფლებში, სადაც მანამდე მოედნები არ იყო;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, მოეწყობა კრივის და ძიუდოს დარბაზები;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- განხორციელდება სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა მუნიციპალურ დონეზე;
- ხელი შეეწყობა მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას და მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას.

# მართლწესრიგი

### დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მძიმე (იმ **5** სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 27 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 21, ანუ 78%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 10 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

### პრობაციონერთა სტატისტიკა

**2017-2020 წ.წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში**

სტატისტიკიდან ჩანს, მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა წინა წლებისგან განსხვავებით, 2017-2020 წ.წ.-ში სტაბილურია და წლების მიხედვით კლების ტენდენცია შეინიშნება.

სტატისტიკიდან ასევე ჩანს, რომ მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები ძალზე იშვიათია და 2017-2020 წლებში სულ 9 ასეთი შემთხვევა იყო. განმეორებითი დანაშაულის შემთხვევები, წლების მიხედვით პრობაციონერთა 1,5%-ს არ აღემატება. ასეთი დაბალი მაჩვენებელი მკაფიოდ მიუთითებს მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობის სტაბილურობასა და სიმშვიდეზე.

**2017-2020 წლებში პრობაციის სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით ადგილზე დასაქმდა 18 მსჯავრდებული.** სამომავლოდ სააგენტო გეგმავს უფრო მეტ მსჯავრდებულს შეუწყოს აქტიურად ხელი დასასაქმებლად; ასევე, მიუხედავად პანდემიის გამოწვევისა, განზრახულია პრობაციონერთათვის სპეციალური სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ეფექტიანად განხორციელება.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედი საზოგადოებრივი ცენტრები**

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება. იმავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ იორმუღანლოში, 2016 წლის 8 ივნისიდან ფუნქციონირებს; მას 2019 წლის თებერვლიდან შეემატა სოფელ უდაბნოს საზოგადოებრივი ცენტრიც.**

**ცხ. 1 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 0<br>0 | 6<br>5 | 2<br>2 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 4<br>3 | 1<br>0 | 1<br>0 | 2<br>2 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 1<br>1 | 1<br>1 | 1<br>1 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>1 | 0<br>0 | 2<br>1 | 0<br>0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 3<br>1 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 10<br>7 | 2<br>1 | 10<br>8 | 5<br>5 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 279 | 219 | 223 | 204 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 2 | 2 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 4 (1,4%) | 0 | 3 (1,3%) | 2 (1%) |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 7 | 7 | 4 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

უდიდესი შესაძლებლობა და იმავდროულად, კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც ქვეყანაში ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხალხზე ზრუნავს და სამომავლო განვითარებაზე ფიქრობს, მშობლიური მხარის მერობის კანდიდატად გასახელებს.

გამარჯვების შემთხვევაში, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მცხოვრების გვერდით ვიდგები. აუცილებლად ჩავალ ყველა სოფელში და ადგილზე მოვისმენ ჩემთვის კარგად ნაცნობი, საკუთარ სამშობლოზე შეყვარებული, მშრომელი ხალხის პრობლემების, გამოწვევებისა თუ იდეების შესახებ.

გარწმუნებთ, ჩემს ხალხთან მუდმივ კომუნიკაციაში ვიქნები, მუნიციპალიტეტისთვის საჭირბოროტო ნებისმიერი პროექტი თუ საკითხი კი, მოსახლეობის უშუალო ჩართულობით გადაწყდება!

მომდევნო წლების განმავლობაში, მოვაწესრიგებთ საგზაო ინფრასტრუქტურას და რაც მთავარია, აუცილებლად მივაღწევთ ჩვენს უმთავრეს მიზანს – მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ერთხელ და სამუდამოდ, აღმოვფხვრით პრობლემას, რაც სასმელი წყლით მომარაგებას უკავშირდება!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ! საგარეჯო გაიმარჯვებს!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.